



შ. ა. ფუტყარაძე,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
კანდიდატი
ბ. ნ. თავდგირიძე,
ქიმიკოსი

ტკ — 547.913:633.814.574

შიდაბთიან აჭარაში ვეკვიკალური ზონალოვის მიხედვით დაფნის ფოთლაზუი ეთერზეთის შემცველობა

დაფნის კულტურას ჩაისა და სხვა სუბტროპიკულ კულტურებთან შედარებით საბჭოთა კავშირში მცირე ფართობი უკავია. განსაზღვრულია მისი ფოთლის წარმოების დონე. მიუხედავად ამისა, ის თავისი სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობით მაინც არ ჩამორჩება სუბტროპიკულ და სხვა ტექნიკურ კულტურებს.

დაფნის მცენარე ეთეროვან ზეთს მის ყველა ორგანოში შეიცავს, მაგრამ ყველაზე მეტი რაოდენობით ის ფოთოლში გროვდება. დაფნის ფოთოლი გარდა ეთეროვანი ზეთისა შეიცავს წყალს, ცხიმს, უჯრედის, უაზოტო ექსტრაქტულ ნივთიერებას, აზოტოვან ნივთიერებებს და სხვა.

დაფნის ფოთოლში სურნელოვანი ეთერზეთის შემცველობა 2—5%-ის ფარგლებში მერყეობს. მის დაგროვებაზე გავლენას ახდენს კვებისა და წყლის რეჟიმი, კომპლექსური ფაქტორები, მცენარეთა სიხშირე, ჯიში, მცენარის ხნოვანება. აგროტექნიკის დონე, პლანტაციის ექსპლუატაციის ხასიათი, მოსავლის აღებისა და ფოთლის შრობის დრო.

სურნელოვანი ეთერზეთის შემცველობის გამო დაფნის ფოთოლს იყენებენ კონსერვების წარმოებაში, კულინარიაში. პარფიუმერიაში, მედიცინაში.

დაფნის ეთეროვანი ზეთი რთული ქიმიური შედგენილობისაა. მასში დღემდე შეუდგენილების მიერ აღმოჩენილია 14-

მდე სხვადასხვა ნაერთი. ნაერთთა დასახელება და შემცველობა წარმოდგენილია № 1 ცხრილში.

დაფნის ეთეროვან ზეთში ქიმიურ ნაერთთა შემცველობა

ცხრილი 1

№ რიგზე	ქიმიურ ნაერთთა დასახელება	შემცველობა პროცენტში
1	1,3—ცინეოლი	42,7
2	α—პინენი	3,8
3	β—პინენი	2,8
4	კამფენი	0,3
5	საბინენი	9,7
6	მირცენი	1,3
7	α—ფელანდრენი	0,7
8	β—ფელანდრენი	0,7
9	ლიმოზენი	1,5
10	ციმოლი	1,1
11	ლინალოლი	12,4
12	ტერპინოლენი-4	3,6
13	α—ტერნილფორმატი	28,8
14	მეთილფენოლი	2,0

როგორც ცხრილიდან ჩანს, მთავარია ცინეოლი, პინენი, ტერპენილფორმატი, საბინენი, ლინალოლი და სხვა. დაფნის ზეთის ქიმიურ ნაერთებს ახასიათებთ დიდი სამკურნალო თვისებები. ამ ნაერთების შემცველობის გამო დაფნის ფოთლის ზეთს იყენებენ რევმატიზმის, ყელის ანთების, ღრძილების, კანის დაავადების, ნერვული აღგზნებულობის, კოლიტის, კუჭის აშლილობის.

პრობის საწინააღმდეგოდ. ეთეროვანი ზეთის სუნს ვერ იტანენ აგრეთვე ბუზები. მიკროორგანიზმები.

უახლესი ლიტერატურული წყაროების მიხედვით დაფნის ბიოლოგიისა და აგროტექნიკის საკითხების შესწავლის საქმეში ნაყოფიერი მუშაობა აქვთ ჩატარებული ვ. ვორონცოვს, ვ. ფრუიძეს, მ. ბზიავას, დ. ჩხაიძეს, გ. გამყრელიძეს, ნ. გუგუნავას, ნ. გიორგბერიძეს, ე. გობრონიძეს. დაფნის კულტურაზე ფუნდამენტალური შრომები აქვთ შექმნილი სვანაძეს, რ. დოლონაძეს, ვ. კობახიძეს, ი. ბერაიას და სხვებს. მაგრამ ამ შრომებში ნაკლებადაა გაშუქებული გარემო პირობების გავლენა დაფნის მცენარის მოსავალსა და ხარისხზე. არაა დადგენილი საქართველოს სხვადასხვა მხარეში ვერტიკალურ-ზონალობის მიხედვით დაფნის ფოთოლში ეთერზეთის შემცველობა და სხვა საკითხები. მაგალითად, აჭარაში ნიადაგი და კლიმატური პირობები ვერტიკალური ზონალობის მიხედვით ცვალებადია. ამიტომ საინტერესო იყო დაფნის ფოთლებში ვერტიკალური ზონალობის მიხედვით ეთერზეთის შემცველობის შესწავლა. რადგანაც ამ საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს დაფნის კულტურის სწორად გადგილების საქმეში. ამ მიზნით შიდაშეთიან აჭარაში 1966-1967 წლებში ვერტიკალურ ზონალობის მიხედვით დაფნის ფოთლის და ნიადაგის ნიმუშები ჩვენს მიერ აღებული იქნა ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის აგრობიოლოგიის განყოფილების გეოგრაფიკულ ზღვევებში. სახელდობრ: ხულოს რაიონის ოქროუაშვილებისა და ჭერის კოლმეურნეობებში, შუახევის და ჭვანას კოლმეურნეობებში, ქედის რაიონის ქედის კოლმეურნეობაში და ბათუმის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობაში გაშენებულ დაფნის პლანტაციებზე. დაფნის ფოთლებში განისაზღვრა სურნელოვანი ეთერზეთი კლევფურის აპარატით, ნიადაგში განისაზღვრა შთანთქმული ფუძეების ჯამი და ჰიდროლიზური მჟავიანობა გ. კაპენის მეთოდით, გაცვლითი მჟავიანობა — ა. სოკოლოვის მეთოდით, ნიადაგის pH — ელექტრომეტრული მეთოდით, შთანთქმული ამონიაკის მნიშვნელობის რეაქტივით, მოძრავი ფოსფორის რ. გ. ონიანის მეთოდით, მოძრავი კალციუმი — პეივეს მეთოდით. ფოთლისა და ნიადაგის აგროქიმიური ანა-

ლიზები ჩატარდა ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალის ნიადაგის ხსნარის შემსწავლელ აგროქიმიურ ლაბორატორიაში. ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგად დადგინდა შემდეგი:

1. დაფნის ფოთოლში სურნელოვანი ეთერზეთი შიდაშეთიან აჭარაში ვერტიკალური ზონალობის მიხედვით შკვეთრად იცვლება. მონაცემები მოყვანილია № 2 ცხრილში.

შიდაშეთიან აჭარაში ვერტიკალური ზონალობის მიხედვით დაფნის ეთერზეთის შემცველობა ცხრილი 2

დაფნის ფოთლის ნიმუშის აღების ადგილი	ნიმუშის აღების ადგილის სიღრმის აღიწერა (მეტრი)	დაფნის ფოთლის ეთერზეთის შემცველობა %-ით მშრალ ნივთიერებაზე
ოქროუაშვილის კოლმეურნეობა	1100	2,1
ჭერის კოლმეურნეობა	700	3,0
შუახევის კოლმეურნეობა	400	4,3
ჭვანის კოლმეურნეობა	600	3,8
ქედის კოლმეურნეობა	240	3,4
ახალსოფლის კოლმეურნეობა	50	1,9

ამ ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ ჭერის, შუახევის, ჭვანის და ქედის პლანტაციებიდან აღებულ დაფნის ფოთლის ნიმუშებში ეთეროვანი ზეთის შემცველობა 3,8-4,3%-ს აღწევს მაშინ, როცა ოქროუაშვილებისა და ახალსოფელში მისი შემცველობა 2,1-1,9%-მდე ეცემა. თუ მონაცემებით ვიმსჯელებთ, ეთერზეთის შემცველობით შუახევის პლანტაციის ერთი კგ. დაფნის ფოთოლი ახალსოფლისა და ოქროუაშვილების პლანტაციაში მოსულ 2 კგ. ფოთლის თანატოლია.

ზეთის შემცველობის ასეთი განსხვავების მიუხედავად ერთი კგ. დაფნის ფოთოლი ორივე ადგილას 5 მანეთი ღირს, შესასყიდ ფასში არაა გათვალისწინებული ეთერზეთის შემცველობა გარდა ამისა ეს მონაცემები საფუძველს წარმოადგენს დაფნის კულტურის განლაგებისა და სპეციალიზაციისათვის სპეციალიზაციის პრინციპის მიხედვით დაფნის კულტურა პირველ რიგში უნდა გაშენდეს იქ, სადაც მაღალხარისხოვანი მოსავალი მიიღება. აჭარის სოფ-

საქონლისათვის ათაქტიკაში კი პირი-
ქით ხდება. დაფნის პლანტაციები უმე-
ტესად შენდება აჭარის დაბლობ რაიონ-
ებში, სადაც დაფნის ფოთლის ხარის-
ხი შედარებით დაბალია. ისმება კითხ-
ვა: რა ფაქტორები განსაზღვრავენ იმ
გარემოებას, რომ შიდამთიან აჭარაში
დაფნის ფოთლის ნიმუშები ბართან შე-
დარებით მეტ ეთეროვან ზეოს შეიცა-
ვენ? ამას ჩვენი გამოკვლევები ამომწუ-
რავ პასუხს ვერ ვასცემენ. იგი კვლავ
კვლევის საგნად რჩება, მაგრამ გვინდა
მასზე ჩვენი აზრი გამოვთქვათ.

შიდამთიან აჭარაში გავრცელებულია
ყომრალი და გაეწრებულ-ყომრალი ნია-
დაგები, რომლებიც წითელმიწა ნიადა-
გებთან შედარებით უფრო მდიდარი
არაიან მცენარისათვის ყველა საკვები
ელემენტით, განსაკუთრებით კალციუ-
მით. კალციუმს კი დაფნა სხვა ელემენ-
ტებთან შედარებით უკეთესად ითვი-
სებს. ამასთანავე შიდამთიან აჭარაში
ღრუბლიანი დღეების რაოდენობა მცი-
რეა, რაც ხელს უწყობს მცენარეებში
მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესე-
ბის ნორმალურ წარმართვას.

2. შევისწავლეთ დაფნის მცენარის
კვების რეჟიმი. მონაცემები წარმოდ-
გენილია № 3 ცხრილში. ცხრილში მო-
ყვანილი მონაცემებით ნიადაგების
სსნარის რეაქცია მჟავაა. მათ შორის
ოქროუაშვილების, შუახევის, ჭვანის და
ქედის დაფნის პლანტაციების ნიადაგ-
ებში pH 4,23—4,89 ფარგლებში მერყე-
ობს. ახალსოფლის და ჭერის დაფნის
პლანტაციის ნიადაგები არეს რეაქცი-
ის მიხედვით ერთმანეთს უახლოვდე-
ბიან. რაც შეეხება ნიადაგის პოტენცი-
ურ მჟავიანობას (გაცვლითი. ჰიდროლი-
ზური) ისინი თითქმის ერთნაირი მაჩ-
ვენებლებით ხასიათდებიან. ამ შემთხ-
ვევაში მკვეთრი სხვაობა აღნიშნულია
მხოლოდ ახალსოფლის დაფნის პლანტა-
ციის ნიადაგში. აქ უკვე გაცვლითი
მჟავიანობა 100 გრ. ნიადაგზე შეადგენს
6 მგ. ექვივალენტს, ხოლო ჰიდროლი-
ზური — 12,5 მგ ექვივალენტს.

გაცვლითი და ჰიდროლიზური მჟავი-
ანობის მონაცემებით ნაოგლი ხდება.
რომ ყომრალი ნიადაგები მოსასაქმელი
ფუძეებით უფრო მადლარი არიან. ვიდ-
რე წითელმიწა ნიადაგები. ამას ადას-
ტურებს ფუძეებით მადლობის ხარის-
ხი. რის მიხედვითაც შეიძლება დადგე-
ნილ იქნას ნიადაგის მოკირიანების სა-
ჭიროება. ჩვენი მონაცემების მიხედვით

მოკირიანება ესაჭიროება მხოლოდ
ახალსოფლის დაფნის პლანტაციის ნია-
დაგს. ამავე ცხრილში მოყვანილია მოძ-
რავი საკვები ელემენტების (აზოტის,
ფოსფორის, კალიუმის) შემცველობა
100 გრ. ნიადაგზე, ოქროუაშვილების, ჭე-
რის, შუახევის, ჭვანის და ქედის დაფ-
ნის პლანტაციებში იგი შეადგენს 3,7—
4,4 მგ-ს, ახალსოფლის ნიადაგში კი —
11,5 მგ-ს. გოგირდის მჟავიანი ხსნადი
ფოსფორი 100 გრ. ნიადაგზე ცალკეუ-
ლი ნაკვეთების მიხედვით შეადგენს 11-
დან 28-მდე მგ-ს. ამ მონაცემების მი-
ხედვით თუ ვიმსჯელებთ, დაფნის მცე-
ნარები ფოსფორით არ არიან უზრუნ-
ველყოფილი, შეიმჩნევა ფოსფორზე მი-
მშილს გარეგნული ნიშნები. ასეთი
პლანტაცია ყოველწლიურად საჭიროებს
ფოსფორიანი სასუქების სრული აგრო-
ტექნიკური დოზით შეტანას.

ფოსფორის ანალოგიურია ნიადაგში
მოდრავი კალიუმის შემცველობა. ცალ-
კეულ ნაკვეთებზე მოძრავი კალიუმის
შემცველობა 100 გრ ნიადაგზე შეად-
გენს 3,2—15,8 მგ-ს. ნიადაგში მოძრავი
კალიუმის ამ ოდენობით შემცველობის
ღროს სამომყვანებელია კალიუმზე
მიმშილის გარეგნული ნიშნები. ასეთი
პლანტაციის ნიადაგში აგროწესების მი-
ხედვით შეიტანება კალიუმიანი სასუქი
სრული დოზა.

ნიადაგის საკვები ელემენტები, რო-
გორცაა აზოტი, ფოსფორი, კალიუმი
და სხვა, მკვეთრ გავლენას ახდენენ არა-
მარტო ნიადაგის ფეკტურ ნაყოფიერე-
ბაზე, არამედ მათი გავლენით ძლიერ-
დება მცენარის ზრდა-განვითარება.
იზრდება მოსავალი. ამიტომ არის რომ
მცენარის კვების რეჟიმის რეგულირე-
ბის ღონისძიების განხორციელებას ამ-
ჟამად დიდ ყურადღებას აქცევენ.

შიდამთიან აჭარაში ვერტიკალური
ზონალობის მიხედვით დაფნის მცენა-
რის მოსავლიანობის შესწავლისას გა-
მოვლინდა შემდეგი: დაფნის საცდელ
ნაკვეთებზე, სადაც მცენარის კვების რე-
ჟიმი სამეურნეო პლანტაციებთან შედა-
რებით გაუმჯობესებულია, მოსავალი მა-
ღალია, ხოლო სამეურნეო პლანტაციებ-
ში. პირიქით. საშუალო საექტარო მო-
სავალი მნიშვნელოვნად მცირეა. ასეთ
პლანტაციებში ნიადაგის ჭიმირმა ანა-
ლიზებმა აზოტის, ფოსფორის და კალი-
უმის უმნიშვნელო რაოდენობა აჩვენ-
ეს.

დაფნის სრულმოსავლიანი პლანტა-

დაფნის პლანტაციებში ნიადაგის ნიმუშების აღების ადგილი	ნიადაგ. ნიმუშ. აღების სიღრმე სმ	ნიადაგის PH	მგ. ექვ-ით 100 გრ ნიადაგში				ფუტეებით მაძრობის ხარისხი % -ში	მოდრაფი საკვ. ელემ. მგ-ით 100 გრ ნიადაგ.		
			შთანაქ. ფუტეების ჯამი	გაყვ. მუცლისობა	პილოლი-ზური მუცისობა	NH ₄ (შთ)		P ₂ O ₅	K ₂ O	
										პილოლი-ზური მუცისობა
ოქროუაშვილების კოლმეურნეობა	0-20	4,89	33,0	0,10	2,7	90,5	3,70	28,56	15,8	
ჭერის კოლმეურნეობა	0-20	4,0	15,0	0,15	3,5	78,0	4,46	12,50	8,0	
შუახევის კოლმეურნეობა	0-20	4,87	23,0	1,15	2,7	88,4	4,34	23,50	8,3	
ჭვანის კოლმეურნეობა	0-20	4,64	35,0	0,45	4,8	87,5	4,55	11,11	3,2	
ქედის კოლმეურნეობა	0-20	4,23	17,0	0,30	4,7	77,2	3,75	12,50	4,5	
ახალსოფლის კოლმეურნეობა	0-20	4,1	3,5	6,0	12,5	21,8	11,5	17,80	15,5	

ციების საშუალო საპექტარო მოსავალი შიდამთიან აჭარაში და ბარში ვერტიკალური ზონალობის მიხედვით ერთიმეორისაგან მკვეთრად განსხვავებულია. ამ

ფაქტებზე ნათელ წარმოდგენას იძლევა აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემები, რომელიც წარმოდგენილია № 4 ცხრილში.

დაფნის სრულმოსავლიანი პლანტაციების საშუალო-საპექტარო მოსავალი აჭარის ცალკეული რაიონების მიხედვით

რაიონები	დაფნის სრულმოსავლიანი პლანტაციების ფართობი და ფოთლის საშუალო საპექტ. მოსავალი წლების მიხედვით						საშუალო საპექტარო მოსავალი მგ/ჰა
	1966 წ.		1967 წ.		1968 წელი		
	სრულ მოსავ. ჰა	საშ. მოსავ. მგ/ჰა	სრულ მოსავ. ჰა	საშ. მოსავ. მგ/ჰა	სრულმოსავლიანი პლანტაციის ჰა	საშ. მოსავ. მგ/ჰა	
ქობულეთი	85	658	100	471	130	453	527
ბათუმი	56	1232	70	1051	89	741	1008
ჭედა	28	185	42	238	66	272	232
შუახევი	—	—	—	—	1,8	—	—
ხულო	—	—	—	—	—	—	—
სულ აჭარის ასსრ	169	691	212	587	286	489	589

ცხრილში მოყვანილი მონაცემებით ნათლად ჩანს, რომ დაფნის ფოთლის საშუალო საპექტარო მოსავალი ბათუმის რაიონში საშუალოდ სამი წლის მონაცემებით შეადგენს 1 000 კილოგრამს, ქობულეთის რაიონში 527 კილოგრამს, ხოლო ქედაში 232 კილოგრამს. რაც შეეხება შუახევის რაიონს, აქ დაფნის ფოთლის მოსავლის აღება და სახელმწიფოზე ჩაბარება არ უწყარმოებიათ. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ზემო აჭარაში არსებული დაფნის პლანტაციების მოსავლიანობის გასადიდებლად არ ხორციელდება საჭირო აგროლონისძიებანი. თუ არსებულ მონაცემებს ანალიზს გაუკეთებთ, ნათელი გახ-

დება, რომ ზღვის დონიდან 200 მეტრ სიმაღლეზე დაფნის ფოთლის მოსავალი შედარებით მაღალია და სიმაღლის შემდგომ მატებასთან ერთად იგი მკვეთრად ეცემა. რაც შეეხება ფოთლის ხარისხს, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, პირიქით უმჯობესდება.

3. შიდამთიან აჭარის შუა ზონაში (500-800 მ. ზღვის დონიდან). თუმცა ნაკლებ, მაგრამ მაღალხარისხოვანი დაფნის ფოთლის მოსავალს იძლევა. აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სამმართველო, სოფლის მეურნეობაში მომუშავე სპეციალისტები დაფნის პლანტაციების გაშენების გეგმის შედგენისას არ ითვალისწინებენ ხა-

რისის საკითხს და აქცენტი დაბალი ზონაზე გადააქვთ. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს № 5 ცხრილში მოყვანილი მონაცემები. მათი მიხედვით, 1966 წლის პირველი იანვრისათვის მთლიანად აჭარაში იყო 392 ჰა დაფნის პლანტაცია, რომლებიც ძირითადად გაშენებულია ბათუმის, ქობულეთისა და ქედის რაიონებში, ხოლო შუახევის რაიონში გაშენებული იყო 1,1 ჰა. გეგმავმა ორგანოებმა 1966-70 წლებისათვის დაფნის პლანტაციების გაშენება ძირითადად ქობულეთის, ბათუმისა და ქედის რაიონებში გაითვალისწინეს, ხოლო შუახევის რაიონში მხოლოდ 2 ჰა დაგეგმეს. რაც შეეხება ხულოს რაიონის დაბალი ზონის კოლმეურნეობებს, იქ დაფნის პლანტაციების გაშენების გეგმა სრულებით არაა გათვალისწინებული. დაფნის პლანტაციების გაშენების ეს გეგმა ვერ პასუხობს დაფნის კულტურის განვითარებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. ბათუმისა და ქობულეთის პირობებში დაფნის მცენარე, როგორც ეს ეკვე ვთქვით, არ იძლევა მაღალსაჩინოვან ფოთოლს. გარდა ამისა იგი შეხახვის დროს მალე ფუჭდება. ამისათვის საჭირო იქნება დაფნის პლანტაციების გაშენების გეგმაში ცვლილებების შეტანა. შუახევისა და ქედის რაიონებში დაფნის პლანტაციების გაშენების გეგმა საგრძნობლად უნდა გაიზარდოს და შემცირდეს იგი ბათუმისა და ქობულეთის რაიონებში. ბათუმისა და ქობულეთის რაიონებში არსებული თავისუფალი მიწები ძირითადად გამოყენებული უნდა იქნეს ციტრუსოვანი კულტურების გასაშენებლად.

ჩატარებული გამოკვლევების საფუძ-

ველზე შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. შიდათიანი აჭარა ვერტიკალური ზონალობის მრეხედვით საკმაოდ მდიდარია მიწის ფონდით, სადაც შეიძლება ფართო მასშტაბით გაშენდეს დაფნის სამრეწველო პლანტაციები. ამავდროულს ნიადაგური და კლიმატური პირობები დაფნის მცენარის განვითარების რეალურ პირობებს ქმნიან.

2. შიდათიან აჭარაში ვერტიკალური ზონალობის მიხედვით დაფნის ფოთოლში სურნელოვანი ეთერზეთი მკვეთრად იცვლება, ეთეროვანი ზეთის ყველაზე მეტი შემცველობა აღნიშნულია შუახევის, ქედისა და ჭვანის, ხოლო შედარებით ნაკლები ოქროუაშვილებსა და ახალსოფლის დაფნის პლანტაციებში.

3. დამამზადებელი ორგანიზაციები მეტად უნდა დაინტერესდნენ დაფნის ფოთლის ხარისხობრივი მაჩვენებლებით. ზონალობის მიხედვით დამამზადებელი დაფნის ფოთლის შესასყიდ ფასში გათვალისწინებული უნდა იქნას ეთეროვანი ზეთის შემცველობა.

4. შიდათიან აჭარაში გავრცელებულია ყომრალი და გაეწერებული ყომრალი ნიადაგები, რომლებიც წითელმიწა ნიადაგებთან შედარებით უფრო მდიდარია არიან შთანთქმელი ფუძეებით, მცენარისათვის შესათვისებელი საკვები ელემენტებით, განსაკუთრებით კი კალციუმით. კალციუმს დაფნა სხვა ელემენტებთან შედარებით დიდი რაოდენობით საჭიროებს და მის მოყვარულ მცენარედ ითვლება.

5. შიდათიან აჭარაში მცენარის კვე-

აჭარის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაფნის პლანტაციების ფართობი და გაშენების გეგმა ახალ ხუთწლედში.

ცხრილი 5

რ ა ი ო ნ ე ბ ი	დაფნის პლანტაციების ფართობი 1966 წ. იანვრის მდგომარეობაში	დაფნის პლანტაციების გაშენების გეგმა პერიოდში 1966-70 წლებში					სულ	1970 წლის ბოლოს დაფნის პლანტაციების ფართობი შედარებით
		1966	1967	1968	1969	1970		
ქობულეთი	176,5	15,5	15,5	9,0	15,0	9,5	64,5	241,0
ბათუმი	110,3	9,0	9,0	10,5	9,5	10,5	48,5	158,8
ქედი	104,1	10,0	10,0	10,0	10,0	10,2	50,0	154,1
შუახევი	1,1	0,5	0,5	0,5	0,5	—	2,0	3,1
სულ	392,0	35,0	35,0	30,0	35,0	30,2	165,0	557,0

ბის რეჟიმის უკეთეს პირობებთან ერთად დაფნის მცენარის ზრდა-განვითარებისათვის ხელსაყრელი კლიმატური პირობები არსებობს. აქ ღრუბლიან დღეთა რაოდენობა მცირეა, ბართან შედარებით, მეტია ნათელ დღეთა რაოდენობა.

6. შიდათიან აჭარაში ვერტიკალური ზონალობის მიხედვით დაფნის სრულმოსავლიანი პლანტაციების საშუალოსაჩქეტარო მოსავალი ერთიმეორისაგან მკვეთრად განსხვავებულია. დაბალ ზონაში — ზღვის დონიდან 200 მეტრამდე — დაფნის პლანტაციის საშუალოსაჩქეტარო მოსავალი ერთიმეორისაგან მკვეთრად განსხვავებულია. დაბალ ზონაში — ზღვის დონიდან 200 მეტრამდე — დაფნის პლანტაციის საშუალოსაჩქეტარო მოსავალი მაღალია, ხოლო 200 მეტრის ზევით პირიქით. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ზემო აჭარაში არსებული დაფნის პლანტაციების

მოსავლიანობის გასადიდებლად არ სორცელდება საჭირო აგროლონისძიებანი.

7. ვთეროვანი ზეთის შემცველობის მიხედვით დაფნის ახალი პლანტაციები პირველ რიგში უნდა გაშენდეს შიდათიან აჭარის შუა ზონაში. ამის გამო საჭირო იქნება დაფნის განვითარების სახელმწიფო გეგმაში ცვლილებების შეტანა.

8. შიდათიან აჭარაში დაფნის კულტურის განვითარების საკითხებზე უნდა გაფართოვდეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. აქ დაფნის პლანტაციების გაშენებით განმტკიცდება კოლმეურნობათა ეკონომიკა, ფერდობი ადგილები დაიფარება მარად-მწვანე მცენარეებით, შემცირდება ეროზიული მოვლენები. ამ ღონისძიების განხორციელებას კი აჭარის სამთო მიწათმოქმედებისათვის დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ექნება.